GRASS
„საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ელ. ფოსტის რეგისტრაციის № 50
25 02 2019 წ.

GRASS FACTCHECK

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37–ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე–40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ:

2017 წელს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მისი საქმიანობის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც 2013 წლის ივნისისა და 2017 წლის მაისის პერიოდს მოიცავს. აღნიშნულ ანგარიშში, ვხვდებით შემდეგი სახის მონაცემებს:

1. „თბილისის საქალაქო სასამართლოში 94%-ით შემცირებულია აღკვეთის ღონისძიების სახედ მოთხოვნილი გირაოს თანხის სრულად დაკმაყოფილების მაჩვენებელი. 2009-2012 წლებში **თბილისის საქალაქო სასამართლოში სრულად დაკმაყოფილებული გირაოს საერთო ოდენობა 91,412,521 ლარს, ხოლო 2013-16 წლებში 5,266,000 ლარს შეადგენს.** შესაბამისად, სახეზეა 94%-იანი კლება. მეტიც, შედარებისთვის 2011 წელს გირაოს ოდენობა შეადგენდა 30,990,000 ლარს, მაშინ როდესაც 2016 წელს გირაოს მაჩვენებელმა 611,500 ლარი შეადგინა". აქვე, მოყვანილია ცხრილი, სადაც 2009-16 წლებში (წლების მიხედვით ცალ-ცალკე) გირაოს ოდენობებია წარმოდგენილი (იხ: 13-14 გვ).

2. „თბილისის საქალაქო სასამართლოში 79%-ით შემცირებულია სასჯელის სახედ დანიშნული ჯარიმის ოდენობა. **თბილისის საქალაქო სასამართლოში 2009-12 წლებში გამოყენებული ჯარიმის საერთო ოდენობა 229,389,566 ლარს შეადგენდა, ხოლო 2013-16 წლებში 48,707,767 ლარს.** შესაბამისად, სახეზეა 79%-ანი კლება. შედარებისთვის, 2011 წელს გამოყენებული ჯარიმის ოდენობა შეადგენდა 91,671,309 ლარს, მაშინ როდესაც 2016 წელს ჯარიმის მაჩვენებელი 12,318,215 ლარი იყო. ამ შემთხვევაშიც, კლების ტენდენცია შეიმჩნევა". აქვე, ცხრილის სახით წარმოდგენილია 2009-16 წლებში, წლების მიხედვით ცალ-ცალკე, დაკისრებული ჯარიმების ოდენობა (იხ: 14-15 გვ).

3. „გაიზარდა პოლიციისა და „სითი პარკის" გასაჩივრებული ჯარიმების დაკმაყოფილების სტატისტიკაც. 2016 წელს სასამართლომ 44-ჯერ მეტი, (1 229) საჩივარი განიხილა, ვიდრე 2011 წელს (28). მათგან დაკმაყოფილდა საჩივრების 51,8%. შედარებისთვის 2011 წელს საჩივრების სიმცირის მიუხედავად დაკმაყოფილდა მხოლოდ 11%" (იხ: გვ.17).

GRASS FACTCHECK

გთხოვთ, დაგვიზუსტოთ, თითოეულ შემთხვევაში, რომელ წყაროს ან რომელი უწყებიდან მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობა იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ამასთან, თუკი შესაძლებელია, მოგვაწოდოთ შესაბამისი წყაროდან საბჭოს მიერ მონაცემების მიღების ოფიციალური დოკუმენტი (მაგალითად, თუკი პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია საქალაქო სასამართლოს მონაცემებს ეყრდნობა, მაშინ, ის დოკუმენტი, რომლითაც სასამართლომ თქვენ აღნიშნული მონაცემები მოგაწოდათ).

პატივისცემით,

დავით ქუტიძე

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი

MLE Georgia's Reforms Associates * 406077579 * GRASS

მისამართი:
თბილისი, კოსტავას ქ. #75ბ
საკონტაქტო პირი:

თამარ ქეცბაია
მობ: 599 277 211
e-mail: t.ketsbaia@factcheck.ge